

— რა დევს მაგ კონვერტში?
— წერილია, ბატონო!
— მეტი არაფერი?
— არა.
— აბა, მაგას ფოსტალიონიც კი მომიტან-
და!



პასუხი პასუხ!



ჯღანფესსაცმლების
დააყენა მთები ბრიგადამ,
ფაბრიკა უშვებს
ვაი-პალტოებს,
მაგრამ პასუხი ამისათვის,
მითხარ, ვინ ავო?
ძალიან ბევრმა?
არც არავინ, ჩემო ბატონო!..
აგერ —
შეცდომით გათხარეს ორმო,



აგერ —
ქარხანა შეცდომით გახსნეს!..
შრომა და გარჯა
ბუმბულივით წაიღო ქარმა,
წყალში ვყრით ქვეყნის
ფულსა და სახსრებს!..
უსიამოვნო ლექსსა ვწერ,
მგონი,
მაგრამ რას ვიზამთ,
ამ ლექსისაც დამდგარა ჯერი!
პასუხისმგებელ
მუშაებს შორის



პასუხს არ აგებს,
სამწუხაროდ, ძალიან ბევრი!
დამეთანხმებით,
ალარ ღირს დაცდა,
ხშირად საქმეს ვნებს
ზარ-ზეიმი, ზედმეტი ქება!..
ღროა, ვისწავლოთ
მოთხოვნაც მკაცრად
და უფრო მეტად —
პასუხისგება!
უნდა ვისწავლოთ
ღღითა და ღამით,

ისევე, როგორც
გვასწავლიდნენ ის წლები ომის —
პასუხი ვაგოთ
კონკრეტული პირადი საქმით,
პასუხი ვაგოთ
პირადი შრომით!
პასუხი ვაგოთ,
ჩვენი ვალია,
იმაზე, რასაც
ვიტყვი და დავწერთ,
რაც გვაგალია,
რაც გვაბარია,
რასაც დავპირდით, —
შესრულებით პასუხი გავცეთ!
პასუხი ვაგოთ, —
გვქონდეს წესადა
და თუკი საქმე გვინტერესებს, —
პასუხი ვაგოთ
პერსონალურ სიბრიყვეზე და



ხელმოწერაზე
თუ მიწერებზე!
პასუხი ვაგოთ
კანონის და სამართლის ძალით, —
რამეთუ ყველა
ერთნაირად ვეკუთვნით კანონს, —
რომ არ გვრცხვენოდეს,
გავუსწოროთ ქვეყანას თვალი
ჩვენი ზერეულად ცხოვრების გამო!
სამშობლოშია
ჩვენი რწმენა! —
მე მჯერა ასე!
მიხარის, თუ მას
ჩემი შრომით რაიმეს ვარგებ!
ვამთავრებ ამ ლექსს
და ხელსაც ვაწერ
და ამ სიტყვებზე,
რა თქმა უნდა, პასუხსაც ვაგებ!

თარგმნა ალექსანდრე ტაბატაძემ
ილუსტრაციები ზ. შორჩხიძისა





ბიუროკრატი

ინერტულობამ მოსწყვიტა ხალხს, სახელმწიფოს, ცხოვრებას!..
 გარდიქცა სკამის მონადა, ყრუ ყურმილებს ყორედა!..
 ხავსი ჭამს ფორმალიზმისა!.. ზიანი მოაქვს საქმისთვის!..
 მოკვეთოთ ბიუროკრატი — კუტი, არაფრის შაქნისი!



ფრაზიორი

აღტაცებული ვაჰყვირის!.. აბდაუბდაობს აღგზნებით!..
 ყალბ დაპირებებს იძლევა ყალბ-პარადული ფრაზებით!..
 უარყოფთ პარადულობა, ფუჭსიტყვაობა დავძლიოთ!
 აღარ დავუთმოთ ტრიბუნა თვალისამხვევეს და
ფრაზიორს!

— დღეს შენი მასწავლებელი იყო ჩემთან!
 — რომელი? ხეტყე რომ უნდა?
 — არა, ცოლის სამსახურს რომ მიხვავს!
 — ისტორიის მასწავლებელი?
 — ისტორიას ხომ ცემენტი უნდა!
 — აა! მივხვდი! ის ჩემი კი არაა, ქეთის მასწავლებელია!




— ბაბუ, ნეგატიური მოვლენა რა არის?
 — რა, ბაბუ, და, როცა დაწესებულ ფასზე სამჯერ მეტს გადაგახდენენ?
 — თუ უფასოა?
 — მაშინ, როცა მართლ „დაწესებულ“ ფასს იხდი!

— გუშინ უფასო საზური მომცეს!
 — თავის ფასში?
 * * *
 — ზუთხი მინდოდა, მაგრამ, გაგიგონია?!
 — ზუთხი?! როგორ არ გამიგონია!

* * *
 — მაშ ასე! თქვენ მოქალაქე შარისაგან ქრთამი აიღეთ!
 — როგორ გეკადრებათ?! რა ქრთამი?! ვალი ჰქონდა ჩემი და დამიბრუნა!
 — რა ვალი ჰქონდა?
 — საწყობის გამგელ მივიღე!

გივი ჩხაიძე



ქართული ჯიშის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ღიან, მიდის!

მშვიდად, ალუშფოთველად განაგრძობს გზას.

არადა, იწერება ბრძანებები, ისჯებიან დამნაშავენი, თუმცა ამაოდ — განუწყვეტლივ მეორდება ერთი და იგივე სურათი: ჩიხში ჩაყენებული თუ საწარმოს ან დაწესებულების ბაქანზე მდგომი რკინიგზის ვაგონები ცდება! ცდება ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკთა უპასუხისმგებლობისა და უყიარათობის მიზეზით!..

ამიერკავკასიის რკინიგზის სოსუმის სადგურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად 1985 წლის 11 თვის მანძილზე სულ მოცდენილია 602 ვაგონი, რამაც 13.577 (1) საათი შეადგინა, ზოლო ჯარიმამ — 34.139 მანეთი და 60 კაპიკი!..

ფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ ვაი-მეურნეთა გაცნობა, ვინც თვალს იბრმავეებს და ყურს იყრუებს, რათა უგულებელყვოს ის დიდი ბრძოლა, რაც დღეს სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის წინააღმდეგ არის მიმართული. ცხადია, ყველა მათგანის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთს, რომელთაც ამ „სასახელო“ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით, გაცავნობთ:

ტრესტ „აფხაზშენის“ სოსუმის სახლ-საშენებელი კომბინატი (უფროსის ყოფილი მოადგილე ვ. ივანოვი, ასლა ამ საქმეს ხელმძღვანელობს ს. ბაგათოელი), რომელმაც იმდენი იმარჯვა, სხვადასხვა დროს სოსუმის სადგურში ვაგონები 782 საათით მოაყვინძურა და ჯარიმის სახით ტრესტს 1722 მანეთი და 80 კაპიკი გადასდევინა!..

„საქთევზმრეწვის“ სოსუმის თევზის კომბინატის დირექტორის მოადგილე შ. ბაბილუა, რომელმაც 13 ვაგონის მოცდენისათვის რკინიგზის სადგურს უყოყმანოდ გადაურიცხა 1420 მანეთი, ცხადია, არა საკუთარი ჯიბიდან!..

„სამტრესტის ღვინის კომბინატის მმართველ-გასაღების განყოფილების უფროსი გ. ბენდელიანი, რომელმაც 32 ვაგონის მოცდენისათვის სრულიად „უმნიშვნელო თანხა“ — 1640 მანეთი გადაიხადა, მაგრამ საკუთარ ჯიბეში არც მას ჩაუყვია ხელი — ეს თანხა „სამტრესტს“ დააჯლო!..

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სოსუმის საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორის მოადგილის ზურაბ გიორგისძე მამარდაშვილის „დამსახურებას“ სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენაში, რადგან სათანადო

ბრძანებით ამ საქმის პასუხისმგებლობა სწორედ მას აქვს დაკისრებული. აი, ზ. მამარდაშვილის „ყიარათიანი“ მუშაობის თვალნათელი მაგალითი: გასულ წელს ფაბრიკამ საბარგო ავტომანქანების მოცდენისათვის 2250 მანეთზე მეტი გადაიხადა, რადგან მანქანების საერთო საათობრივმა მოცდენამ 913 საათი შეადგინა!

ზ. მამარდაშვილმა და მისი სამსახურის მუშაკებმა შაქრით დატვირთული ვაგონების მოცდენის სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწიეს 1985 წლის დეკემბრის ბოლოს, როცა 4 ვაგონი 225 საათით მოაყვინძურა და 545 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს!..

არ გეგონოთ, მთელი ეს თანხა სოსუმის საკონდიტრო ფაბრიკის პასუხისმგებელმა მუშაკებმა გადაიხადეს საკუთარი ჯიბიდან. არა, ასე რომ ხდებოდა, ალბათ, მეტ სიფხიზლესა და ყიარათიანობას გამოიჩინებდა ზ. მამარდაშვილი და „ქმანი მისნი“—

სხვათა შორის, საკონდიტრო ფაბრიკაში არსებულ წვეგატიურ მოვლენებთან მებრძოლ კომისიასაც ზ. მამარდაშვილი ხელმძღვანელობს! იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ეს კომისია და მისი თავმჯდომარე, მჭევრმეტყველურად მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1985 წლის განმავლობაში სოსუმის საქალაქო შინაგანი განყოფილების არასაუწყებო დასაცვის მუშაკებმა ჩატარებული რეიდების შედეგად სახელმწიფო საკუთრების წერილობრივი დატაცების 25 ფაქტი გამოავლინეს, მაშინ როდესაც თვით ფაბრიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თერთმეტი თვის მანძილზე სულ რაღაც ოთხიოდე შემთხვევის გამოკვლევა შესძლეს!


თავს აღარ შეგაწყენთ იმათი ვინაობის გაცნობით, ვინც რკინიგზის ვაგონების და ავტოტრანსპორტის მოცდენისათვის საკმაოდ სოლიდური თანხებით დაჯარიმდნენ, მხოლოდ ამნაირ საწარმო-ორგანიზაციათა არასრულ ნუსხას მოგაწვდით: სოსუმის საავჯო ფაბრიკა, ენგურჯის „პიდროსპეცმენი“, გაზის აპარატურის ქარხანა, სოსუმის რისამრეწველო კომბინატი, სოსუმის ელექტროქსელი და სხვები და სხვები!..

...ღიან, მიდის ქარავანი და ასე უდრტივინველად ივლის, სანამ სახელმწიფო სახსრების გამწვანებლებს საკადრისი პასუხი არ მოეთხოვებათ!


ნოდარ ხუნდაძე,

„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი აფხაზეთის ასსრ-ში.

უსიტყვოდ ნახატები
ს. მმუხომლიძე




3. კუცია



33



— მამი, სირცხვილი არ არის, შენ „ვოლგით“ დადიო-
დე სამსახურში და მე, სკოლაში, ამით?!



წლობით ვემოძვრავდა..
ათასგზის
გვიქო ნაწარმი, ნაქარგი!
თითქმის ზუპირად იცოდა
ბერი თუვდორეს ამბავი!

გვიან გავიგეთ — ეს კაცი
ყოფილა ქურდი, ბანდიტი
და დიდი პოსტის წყალობით
გავლენა ჰქონდა თან დიდი!

ამდენი მაინც საიდან?
მანჭვით, გრუნით და
„გრუნობით“!
— ამ კაცს იმხელა მადა აქვს,
საჭმელად არც ჩვენ ვუყოფით! —

თქვეს ბოლოს, ხელი გაუკრეს,
დასრულდა მისი „ამბავი“,
სანაგვე ყუთში ჩაავდეს,
ვინც ადრე იყო ნაგავი!..

მიეძინება ცხოვრება,
არა დგას, როგორც მორევი!
ღმერთო, ამრავლე მამულში
ამგვარ „მოძღვართა“ მომრევი!

ჯემალ კვიციანი

ზოგიერთი დაწესებულების ზოგიერთი თანამშრომლის სახე ქართულ კლასიკურ პოეზიაში

- **სამუშაო** დღის დაწყებისას: „ღაიგვიანეს, ჭერ არსად
სჩანან...“ (აკაკი).
- **მუშაობისას**: „სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა
წონამან“ (რუსთაველი).
- **სოფელში** მივლინებისას: „არც კაცი ვარგა, რომ
ცოცხალი მკვდარსა ემხგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს“ (ნ. ბარათაშვილი).
- **საწარმოო** თათბირზე: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი...
(ილია).
- **მთხოვნელთან**: „არა სთქვა რა!.. არც მე გკითხავ! (აკაკი).
- **შეძროვნებისას**: „ესძებნე და ვერა ჰვოვე რა“ (დ. გურამი-
შიშვილი).
- **ტურისტული** მოგზაურობიდან დაბრუნებისას: „სმე-
ნად მხეცნი მოვიდიან“ (რუსთაველი).
- **პარიერის** გზაზე: „არა ვემაოთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი
უზომ, უხე ა, გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის
განთქმა, ქუხვა; რა ვერ ვბოვებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით
ჭმუხვა“ (ალ. ჭავჭავაძე).
- **ხელმძღვანელის** გამოცვლა: „რა
ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა...“ (რუსთავე-
ლი).
- **განხილვის** შემდეგ: „ჩვენებურადა, ძველებურადა,
ვსვამდეთ, ვიძახდეთ: იარი-არალი!“ (გ. ორ-
ბელიანი).
- **შესვენების** შემდეგ: „არ მომკ-
ვდარა!.. მხოლოდ სძინავს“ (აკაკი).
- **პარსკამპტივში**: „გასრულდა მათი ამ-
ბავი...“ (რუსთაველი).



წყაროებიდან ამოკრება

აკოლონ ბასილაია

დაუძინებავი „შპილი“

შპილი არის ქართული სპორტის, ანის შექმნას და მოხარის ან სპორტის მწვერვალის თვისებების გახლჩაქვს. მწვერვალის თვისებების გამოხატვისა და განვითარების, იმის გარანტირება, რომ ეს სპორტის განვითარება და წარმატება მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ ვინც სპორტს უბრალოდ არ ამბობს, არამედ მისი თვისებების განვითარებას უზრუნველყოფს. ანუ სპორტის განვითარება არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს. ანუ სპორტის განვითარება არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.



Szpilki
შპილის
უბრალოდ არ ამბობს
შპილის
ქართული სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს

სპორტის განვითარება არ არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს. ანუ სპორტის განვითარება არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

სპორტის განვითარება არ არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს. ანუ სპორტის განვითარება არის მხოლოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

თვითუპოვანი ბავთვა

ანაგონი ლტოლნი სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

ანაგონი ლტოლნი სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

ანაგონი ლტოლნი სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი

— დღეს, დღეს არი უფრო
— რაღაცეა, რაღაცეა
— სულ უბრალოდ... შენი აზრით...
— მერი უფრო პირობების განსაზღვრა...
— თანაობა პანი აკოვალკა
— ჯანსაღი კომპოზიციის
— ნაპოვნი კომპოზიციის
— მიწის დაუძინებელი

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი

— მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.


— მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

მინიმინატიზმი არის უბრალოდ ის, რაც სპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.



ეს წევრი მშველბის, თორემ კრებებზე ჩემს მოქარებს ვეძლე შემოწმებდს.



ნამ წარსადგინი და ამ მისელებს მისელებს

ვასტანუ ჩავასადე

მანუჩარი წარმოქმნი

სელასლა

კაცობრიობამ, ნიკოლოზ,
რაიმე უნდა იღონოს,
სანთელი უნდა დაუნთოს
სამყაროს უპოლიგონოს,

ატომი გა და ი გონოს,
წყალბადი გა და ი გონოს
(ეს ერთი სიტყვაც შესძინოს
ლექსიკას სალექსიკონოს),
მერე დაჯდეს და სელასლა
ბორბალი გამოიგონოს!

ფულატალისტი

ამოვსენი პრაქტიკული
დროის ალგორითა,
არ მლაღატობს გუმანი:
მილიონს რომ მილიონი
მივუმატოთ — ორია,
სუთს რომ სუთი მივუმატოთ —
თუმანი.



გრაფომანი

თუ გაცივდა, ტრიოლეტებს
ასველებს და აცემინებს,
გადამბუჭდავს აბუჭდვინებს,
გამომცემელს აცემინებს,
კინოს გადაალებინებს,

ტელეს გადააცემინებს,
თუ გაბრაზდა, აზანზარებს
მისი სიაკაკაცე მინებს!..
საცემია, მაგრამ მაინც
თავს არავის აცემინებს,
კრიტიკოსებს ნუგეშს, პატივს,
ტაშს და თაყვანს აცემინებს.

რიტმი

სადიზმის ქება სად ისმის? —
სადაც არ ესმით ზადი სმის
და სადაც არამზადობენ
მოძღვრები არამზადიზმის.

რჩევა

თუ დროზე არ შეადგინე
ამ ცხოვრების ბალანსი,
ჩავარდები განსაცდელში,
ანუ სათაბალაში.

თუ ზუსტად არ შეასამე
კრედიტი და დეპეტი,
არაფერს არ გაპატიებს
ვაში შეფარდებითი,

და დარჩები, როგორც ყალბი
ტაბულა და ტაბელი —
გამოდებეტებული და
გამოკრედიტებული!

შემთხვევით

შემთხვევით გამასხენა დამ ტყვე
ეული,
მე კი ერთმა შემთხვევამ
დამატყვევა:
ერთმანეთს შესვდა ორი
დამთხვეული, —
ეს იყო ბედნიერი დამთხვევა.

მონადირავს

მამამ თოფი შეგაყვარა,
ძაღლმა გაგამამაცა,
მამაც გიყვარს,
ძაღლიც გიყვარს, —
რადას ერჩი მამაძაღლს?!

წიწილა

მობრძანდება დედალი,
ანუ კრუსის — დედანი.
თავს ევლება ვარიას —
თავის პირველ ვარიანტს.
წივის მათი სინსილა —
ესე იგი — წიწილა:
უცებ გამოკვერცხა და
უცებ გამოგვეცხადა.



პიკასო — „კლავიატორი“

ატყდა პოლემიკა: SOS!
ერთად დაპკრეს გონგი სუთი,
ბრალსა სდებენ პიკასოს:
ბავშვებს
მოკპარაო დონ კისოტი!



უმცროსი და უფროსი

რაკი უმცროსი მოითხოვს,
უფროსმა ისაუბროსო, —
უპოეზიოს — უპროზო
სიტყვა სჯობია, უფროსო!

ილუსტრაციები
ჯეჟალ ლოლუასი



სსსრკ-ს ულტრამეგარევენე ორგანიზაციის წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას თეთრი სახლის მესვეური აქტიურად ჩაება კონგრესზე შემოქმედების უპრეცედენტოდ ინტენსიურ კამპანიაში, რათა დაიყოლიოს იგი, რომ გამოყოფნა კიდევ 100 მილიონი დოლარი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ სომოსელთაგან ჩამოყალიბებული ტერორისტული ბანდების დასახმარებლად, რომლებსაც რეივანი დიდის ამბით უწოდებს „თავისუფლების მებრძოლთ“.

გაზეთიდან

თბილისის სამედიცინო გამოსაფხიზლებელი სამჯარ და მებჯარ მოხვედრილთა არასრული სია

სარგო არჩილის ქე არუზანოვი — კრწანისის III გასასკოლის № 4 სახლში მცხოვრები. მილიციის განყოფილებაში და გამოსაფხიზლებელშიც გაჩიუტდა: ტარიელ მკლავაძესავეთ იქნედა ხელებს, ვმუშაობ რომელიდაც საგზაო-სამშენებლო სამმართველოშიო (კონკრეტულად ვერ დასახელა).

ირვანე ტატოს ქე ზუჯიაშვილი — გლდანის მე-8 მიკრორაიონის 23-ე კორპუსის 24-ე ბინაში მცხოვრები. უმუშევარი, გამოსაფხიზლებლის სამგზის სტუმარი.

ზორის დიმიტრის ქე ბაზანოვი — გაურკვეველი პროფესიისა და მისამართის მქონე მაწანწალა. მისი ბაზა სამწვადე და სახინკლეა.

ეკატერინე ლუკინანის ასული შარიკი — 1954 წელს დაბადებული, ბახუსის დიდად ტრფიალი, უმუშევარი და უმისამართო.

ლევან მიხეილის ქე ოზანაშვილი — 1940 წელს დაბადებული, ბესიკის II შესახვევში მცხოვრები. „ვხვამ, ხანამ საქართველოში დაიწურება მტევანიო“ — მღერის მთვრალი ლევანი.

ირაკლი ვახტანგის ქე ბურჯანაძე — 1947 წელს დაბადებული, ვახისუბნის II მიკრორაიონის VI კორპუსის 181-ე ბინაში მცხოვრები. მის შესახებ შეტყობინება გაეგზავნა 26 კომისრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებასა და ნარკოლოგიურ დისპანსერს.

მედა ნიკოლოზის ასული გილაური — გამოსაფხიზლებელში — თითქმის შინაური, 1956 წელს დაბადებული, პლენანოვის № 10 სახლში მცხოვრები, უმუშევარი, ლოთობის დიდი ტრფიალი.

სარგო ნიკოლოზის ქე კულივი — 1931 წელს დაბადებული, ვალაკტიონ ტაბიძის № 35 სახლში მცხოვრები, სამჯერ უზომოდ მთვრალი მიიყვანეს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში.

სამუელ მიხეილის ქე ჩორნეი — 1931 წელს დაბადებული, სანზონაში, მე-13 კორპუსის № 41 ბინაში მცხოვრები. ხუთჯერ გააწითლეს და გააშავეს ჩორნეი გამოსაფხიზლებელში, მაგრამ მეექვსედ კვლავ ეწვია მისთვის ამ კარგად ცნობილ დაწესებულებას. მასზე შეტყობინება გაეგზავნა ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებასა და ნარკოლოგიურ დისპანსერს.

სვებლანა ვლადიმერის ასული ბალაპიროვა — 1949 წელს დაბადებული, წულუკიძის II შესახვევის № 11 სახლში მცხოვრები, გამოსაფხიზლებლის ხუთგზის სტუმარი.

ისლან ჰუსეინის ქე კრიმჩივი — 1934 წელს დაბადებული, შაუმიანის ქუჩის № 46 სახლში მცხოვრები, ზოგჯერ სოფელ შაუმიანშიც გამოდის ნაბახუევზე.

ვიორკი მურცხვალაძე

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებლის უფროსი, მილიციის მაიორი.



— ან ფული, ან სული

ნ.ბ. ბ. ბპილაშანი

ბელოჯიანი



(სულხან-საბას მიხედვით)

ბელაჯიანის დირექტორი ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ბეზლენი თანამშრომელი ჰყვა. რა მოაწია დრომ რევიზიისამ, მოუწოდა თანამშრომელთა თვისთა. მოატანინა ოცდაათი ძენი „სერვილადი“, შუკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს. და ვერ გატეხა. მერე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალენა. უთხრა ბეზლენთა თვისთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგენართ, რევიზია ვერ გატეხსთ, ვით მე წელან შეკრული „სერვილადი“ ვერ გატეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლენოსო „ობეხენსმან“, თავიც მოსთხაროთ და მეცაო!“

ნუგზარ აფხაზაძე

სახ. ს. მ. ა. მ. 275
28.11 86

ნანუკიძე
"ნანუკიძე"
ქართული
საბავშვო ჟურნალი



უსიტყვოდ

განდაგანა

მეთორმეტე სუთ წლებში უხუირო სტარტი აიღეს და პრო-
დუქციის წარმოების 2 თვის გეგმის შესრულებას დააკლეს: ბათუ-
მის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ — 425
ათასი მანეთი, ნავთობგადამამუშავებელმა ქა-
რხანამ — 2593 ათასი მანეთი.

ყურთბალიშზე გძინავთ, განა?! გეგმას უხვევთ განდა-
განა!

უკვე შიშმა აგვიტანა — ისევ იერიშობანა?!

დონე

1986 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერი-
ოდთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების დონე შეამცირეს საწარ-
მოო ვაერთიანებებმა — „საქნავთმა“, „ნარსმუნებელ-
მა“, „ჭიათურმანგანუმმა“, რუსთავის ექსპერი-
მენტულ-მექანიკურმა ქარხანამ...

ტემპს უკელით, საიმედო ვერაფერი ვაგვაგონეთ!
ალბათ ასწევთ (უნდა გენდოთ), სირცხვილსაც აქვს
თავის დონე!

ჩვენს გვეკარგება!..

შეაღწასი ხარისხის კატეგორიის პროდუქციის წარმოების
დონე, 1985 წლის 2 თვესთან შედარებით, იანვარ-თებერვალში
საგრძობლად შეამცირეს ადგილობრივი მრეწველობის
სამინისტროს საწარმოებში, ასეთივე ტენდენცია შეი-
ნიშნებოდა ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში...

დღეს ხარისხს ჰკარგავთ თქვენ და, ხვალისთვის,
ჩვენს გვეკარგება ყიდვის ხალისი!

ზაზა კაციაშვილი



იუმორისა

ის-ის იყო ღვინით სავსე ჭიქას შავლო ხელი, რომ მოუ-
ლოდნელად გაახსენდა გუშინდელი მტკიცე გადაწყვეტილება —
სმას ერთხელ და სამუდამოდ თავი დაანებოს, ასე ვთქვათ, სულის
მოთქმისა და გამოჯანმრთელების მიზნით. ჰოდა, ჭიქას მყისვე უშვა
ხელი, თითქოს მდულარეს შეეხო. სიამოვნებისაგან გაინაბა და შე-
ცადა წარმოედგინა მისი უდიდებულესობის ბრწყინვალე მომა-
ვალი: ღიბი მოსცილდება, წელში გაიმართება, გული აღარ შეაწუ-
ხებს, გაახალგაზრდავდება!..

— არა, რაღა მაინცდამაინც დღეიდან?! — შეეპარა ეგვი. დღეს
ხომ ჩვენი მმართველის იუბილეა, რას იფიქრებს ჩემზე? — არ მა-
ფასებს და იმიტომ არ სვამსო! გადაამეტრება და იტიროს ჩემმა
ცოლ-შვილმა! არა, დღეს რაც არის, არის! ხვალიდან კი ბაბუაჩემიც
რომ აღდგეს მიწიდან, წვეთის დამლევი არა ვარ!..

თუმცა, მეც რას ავიჩემე, სმას თავი უნდა დავანებო! ჩემზე
ღილი ღიბიც აქვთ ზოგიერთებს, გულითაც უფრო ავადმყოფები
არიან, მაგრამ რამდენიც უნდათ, იმდენს ჭამენ, სვამენ, სხვა ცოდ-
ვებსაც სჩადიან, მაგრამ მტრის ჭინაზე სიკვდილამდე მაინც ცოცხ-
ლობენ!


ისევ გადახედა ჭიქას.
— მაგრამ ცოლს რომ შევფიცე, ჭიქას აღარ მივეკარები-მეთქი?!
— ისევ გაახსენდა მას. — თუმცა ცოლს იმდენი ფული მიუტანე,
რამდენსაც მოგთხოვს და, მაგის ხასიათი რომ ვიცი, შენ თუ გინდა
წყალსაც წაუღიხარ!..

და სულმოუთქმელად გადაკრა პირველი ჭიქა!..

**მემორწილე-მეჩელეხის
ალსარება**

ყოველ კვირაში — ქორწილი..
ყოველ კვირაში — ქელეხი..
მადევს ქორწილის ბორკილი..
მიზენს ქელეხის ქვემეხი!..

ნახ. 0. ყინაზვილისა



უსიტყვოდ

ნ ა რ ე მ ე ი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი—ფარმონებაში!

საკონსტრუქტორო ბიუროს მე-17 განყოფილებაში დაინერგა ტექნიკური სიახლე: ერთ-ერთმა ინჟინერმა შემოიტანა და პრაქტიკულად დანერგა კომპაქტური დაზგა, რომლის წარმადობა ერთობ მაღალია — სამუშაო დღის განმავლობაში იგი ხუთჯერ მეტს ქსოვს, ვიდრე განყოფილების ერთად აღებული ყველა ქალი... ჩხირებით!

ა. ბარძია

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ავტოსადგომი — საცხოვრებელ სახლებთან მობინადრეთა ნერვების სიმტკიცის საგამოცდო პოლიგონი.

გულშავიწყობა — მევალის პროფესიული დაავადება.

ალიმენტი — დაუფიქრებელი ნაბიჯის პერიოდული გახსენება.

ცენტრალური გათბობის რადიატორი — ზოგიერთ კომუნალურ ბინაში მაცივრის ნაირსახეობა.



მარიამ ზაშვიშვილი

ქ ე მ ე ს ე კ ე რ ე

სულ ფიქრობდა შეძენაზე, ლამის ტვინი ეღრძოლ..
ნატვრად ჰქონდა კერძო სახლი, ეწო, „ვოლგა“ კერძო,
კერძო ქურჩა, კერძო სკვერი და გარაჟი კერძო..

არიგებდნენ: „ნუ ხარ ხარბი, შე ეშმაკის კერძო!“
ახლა წის და დაუინებით... საკანს ითხოვს კერძო სი..

ალექსანდრე გიორგობიანი





სატირიკო და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“ № 8
(1714). აპრილი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგოზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირჯიბი, ნოზადი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოღუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფწივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადეცა ასაწყობად 21.03.
86 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 15.04 86 წ. ქა-
ლადის ზომა 60 X 90 1/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქართველოს კვ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 736. უფ 04613.
ტირაჟი 143.000. უფრნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციოში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издаельства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ
СВЯЗАННЫЕ

უთავოვანი